ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6794848

ნომერი: AR1993559

თარიღი : 13.10.2023

გაცემის თარიღი : 07.12.2023

გაცნობის თარიღი : 07.12.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხოშარაული , N 29 , (ნაკვეთი N4/139);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ტურძელაძე პ/ნ 61001058093
- ქობულეთი 9 აპრილის ქ. N 13

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 21 მარტის №6378436 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 13 ოქტომბერს №AR1993559 განცხადებით მომართა ლევან ტურძელაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 21

მარტის №6378436 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 21 მარტის №6378436 ბრძანებით შეთანხმდა №01.13.05.004.139 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი I) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 21 მარტიდან 2027 წლის 21 მარტის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთებად ფიქსირდებიან შპს „იქსმშენ დეველოპმენტ“-ი (ს/ნ: 405243482) და შპს „გეითვეი ჰოლდინგი“ (ს/ნ: 204531499).
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს ცვლილების შეტანას სამსახურის 2023 წლის 21 მარტის №6378436 ბრძანებაში და დამკვეთად შპს იქსმშენ დეველოპმენტთან (ს/ნ: 405243482) და შპს გეითვეი ჰოლდინგთან (ს/ნ: 204531499) ერთად შპს იქსმშენი დიდუბეს (ს/ნ: 406353832) დაფიქსირებას.
როგორც ზემოთ აღინიშნა სამსახურის 2023 წლის 21 მარტის №6378436 ბრძანებაში დამკვეთად ფიქსირდებიან შპს „იქსმშენ დეველოპმენტ“-ი (ს/ნ: 405243482) და შპს „გეითვეი ჰოლდინგი“ (ს/ნ: 204531499). ამასთან, დღევანდელი მდგომარეობით საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: №892023139097; მომზადების თარიღი: 18/10/2023 წ.) №01.13.05.004.139 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეებს წარმოადგენენ შპს „იქსმშენი დიდუბე“ (ს/ნ: 406353832) და შპს „გეითვეი ჰოლდინგი“ (ს/ნ: 204531499). ხოლო, ასევე, საჯარო რეესტრის ამონაწერების მიხედვით, შპს „იქსმშენ დეველოპმენტი“ (ს/ნ: 405243482) წარმოადგენს ფართების (მათ შორის: ს/კ: №01.13.05.004.139.04.01.129; განცხადების რეგისტრაცია: №892023265514; მომზადების თარიღი: 21/11/2023 წ. ს/კ: №01.13.05.004.139.04.01.563; განცხადების რეგისტრაცია: 892023260501; მომზადების თარიღი: 20/11/2023 წ. ს/კ: №01.13.05.004.139.01.01.025; განცხადების თარიღი: №892023322522; მომზადების თარიღი: 01/12/2023 წ.) მესაკუთრეს.
ამასთან, წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილია შპს ,,გეითვეი ჰოლდინგი“-ს (ს/ნ: 204531499) დირექტორის - მაია რჩეულიშვილის (მინდობილობის რეგისტრაციის ნომერი: №200884777; 29.10.2020 წ) მინდობილი პირის - პაატა სვანიძის და შპს „იქსმშენ დეველოპმენტი“-ს (ს/ნ: 405243482) დირექტორის - როინ გიგიაძის მიერ გაცემული თანხმობები, სამსახურის 2023 წლის 21 მარტის №6378436 ბრძანებაში დამკვეთად შპს „იქსმშენი დიდუბე“-ს დამატებასთან დაკავშირებით.
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაციის ნომერი: B23115628; მომზადების თარიღი: 15/08/2023 წ.) შპს „იქსმშენი დიდუბე“-ს (ს/ნ: 406353832) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს - ვალერიან კირკიტაძე.
წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი 2023 წლის 05 ოქტომბრის №231397722 მინდობილობით დგინდება განმცხადებლის - ლევან ტურძელაძის უფლებამოსილება.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან დღევანდელი მდგომარეობით, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: №892023139097; მომზადების თარიღი: 18/10/2023 წ.) №01.13.05.004.139 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ერთ-ერთ თანამესაკუთრეს წარმოადგენს შპს „იქსმშენი დიდუბე“ (ს/ნ: 406353832), რომლის უფლებამოსილი წარმომადგენელი სამსახურს მომართავს დამკვეთის ცვლილების მოთხოვნით, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილება შეიტანოს მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში და დამკვეთად შპს იქსმშენ დეველოპმენტთან (ს/ნ: 405243482) და შპს გეითვეი ჰოლდინგთან (ს/ნ: 204531499) ერთად დააფიქსიროს შპს „იქსმშენი დიდუბე“ (ს/ნ: 406353832).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის თანახმად,
ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 21 მარტის №6378436 ბრძანებაში და დამკვეთად შპს იქსმშენ დეველოპმენტთან (ს/ნ: 405243482) და შპს გეითვეი ჰოლდინგთან (ს/ნ: 204531499) ერთად დაფიქსირდეს შპს იქსმშენი დიდუბე (ს/ნ: 406353832).

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 21 მარტის №6378436 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 21 მარტის №6378436 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.